## პრიორიტეტების ფინანსური ანგარიშგების ფორმა

| პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა | პროგრამის კლასიფიკაციის კოდი | პროგრამის დასახელება | 2023 წლის გეგმა | მ.შ. საბიუჯეტო ასიგნება | 2023 წლის საკასო შესრულება | მ.შ. საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში გაწეული საკასო შესრულება |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოციალური უზრუნველყოფა | **06 02** | სოციალური უზრუნველყოფა | 17,699,178 | 17,520,446 | 15,497,228 | 15,373,000 |
| სულ პრიორიტეტზე მიმართული და გაწეული ფულადი სახსრები | | | **17,699,178** | **17,520,446** | **15,497,228** | **15,373,000** |

### პროგრამის ფინანსური ანგარიშგების ფორმა

*ლარებში*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი | 06 02 | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | |
| პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამები და ქვეპროგრამის ფარგლებში არსებული ძირითადი ღონისძიებები | 2023 წლის გეგმა | მ.შ. საბიუჯეტო ასიგნება | 2023 წლის საკასო შესრულება | მ.შ. საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში გაწეული საკასო შესრულება |
| **კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება 06 02 01** | **832,300** | **832,300** | **607,521** | **607,521** |
| წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა | 415,110 | 415,110 | 322,288 | 322,288 |
| დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა | 236,370 | 236,370 | 210,039 | 210,039 |
| სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა | 49,800 | 49,800 | 27,155 | 27,155 |
| გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე | 97,200 | 97,200 | 18,320 | 18,320 |
| ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება | 33,820 | 33,820 | 29,720 | 29,720 |
| **მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა 06 02 02** | **3,524,900** | **3,524,900** | **2,639,642** | **2,639,642** |
| სადღესასწაულო დღეებში ვეტერანებზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) მატერიალური დახმარების გაწევა | 149,200 | 149,200 | 98,400 | 98,400 |
| შვილის შეძენასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა | 120,000 | 120,000 | 73,600 | 73,600 |
| ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა | 55,000 | 55,000 | 30,000 | 30,000 |
| ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება. | 3,340 | 3,340 | 0 | 0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სსიპ ქ. ბათუმის #13 და #17 საჯარო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფის სუბსიდირება | 45,960 | 45,960 | 35,232 | 35,232 |
| სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების, უდედმამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა | 3,151,400 | 3,151,400 | 2,402,410 | 2,402,410 |
| **მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება 06 02 03** | **3,215,700** | **3,215,700** | **3,131,461** | **3,131,461** |
| განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, შშმ სტატუსის ბავშვები, მოსწავლეები, მასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები და სკოლების მანდატურები, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, პროფესიული კოლეჯის "Black sea" თანამშრომლები, რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) არ აღემატება 625 ლარს თვეში, სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, მარტოხელა მშობლები და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა აჭარის რეგიონალური ცენტრის ბენეფიციარები) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება | 3,215,700 | 3,215,700 | 3,131,461 | 3,131,461 |
| **მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება 06 02 04** | **1,430,768** | **1,430,768** | **1,320,924** | **1,320,924** |
| მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება | 1,328,600 | 1,328,600 | 1,218,756 | 1,218,756 |
| ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება | 71,280 | 71,280 | 71,280 | 71,280 |
| წინა პერიოდის დავალიანება | 30,888 | 30,888 | 30,888 | 30,888 |
| **მუნიციპალური უფასო სასადილო 06 02 05** | **7,316,332** | **7,137,600** | **6,924,674** | **6,800,446** |
| **ადმინისტრირება და მართვა** | **1,684,100** | **1,561,100** | **1,636,922** | **1,548,671** |
| შრომის ანაზღაურება | 1,343,185 | 1,238,185 | 1,325,380 | 1,238,180 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | 19,400 | 19,400 | 15,520 | 15,520 |
| საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები | 321,515 | 303,515 | 296,021 | 294,971 |
| **საკვები პროდუქტების შეძენა (ბენეფიციართა რაოდენობა)** | **5,552,600** | **5,550,000** | **5,240,704** | **5,240,704** |
| **მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება** | **79,632** | **26,500** | **47,048** | **11,071** |
| კომპიუტერული და პერიფერიული ტექნიკა | 6,500 | 6,500 | 5,971 | 5,971 |
| საოჯახო და საოფისე ტექნიკა | 11,000 | 11,000 | 0 | 0 |
| ავეჯისა და ინვენტარის შეძენა | 22,132 | 9,000 | 14,500 | 5,100 |
| სასადილოების სარემონტო სამუშაოები (სასადილო №1; სასადილო №2; სასადილო №4; სასადილო №5) | 40,000 | 0 | 26,577 | 0 |
| **დროებითი ღამის თავშესაფარი 06 02 06** | **768,800** | **768,800** | **407,595** | **407,595** |
| **ადმინისტრირება და მართვა** | **433,200** | **433,200** | **338,343** | **338,343** |
| შრომის ანაზღაურება | 100,700 | 100,700 | 96,793 | 96,793 |
| შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | 85,000 | 85,000 | 84,998 | 84,998 |
| საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები | 247,500 | 247,500 | 156,553 | 156,553 |
| **სამედიცინო მომსახურება** | **9,000** | **9,000** | **5,241** | **5,241** |
| **საკვები პროდუქტების შეძენა** | **100,000** | **100,000** | **60,635** | **60,635** |
| **მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება** | **226,600** | **226,600** | **3,376** | **3,376** |
| ავეჯი | 154,600 | 154,600 | 0 | 0 |
| სამზარეულოს ავეჯი | 30,000 | 30,000 | 0 | 0 |
| სამზარეულოს ტექნიკა | 25,000 | 25,000 | 0 | 0 |
| კონდიციონერი | 9,000 | 9,000 | 0 | 0 |
| ტელევიზორი | 2,000 | 2,000 | 0 | 0 |
| კომპიუტერი | 4,000 | 4,000 | 3,376 | 3,376 |
| პრინტერი | 2,000 | 2,000 | 0 | 0 |
| **საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა 06 02 07** | **140,228** | **140,228** | **137,381** | **137,381** |
| საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა | 60,000 | 60,000 | 60,000 | 60,000 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება "ომგადახდილის'' ქალაქ ბათუმის ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა | 5,000 | 5,000 | 5,000 | 5,000 |
| ა(ა)აიპ იალქანის მხარდაჭერის ღონისძიება | 5,000 | 5,000 | 3,874 | 3,874 |
| ბათუმის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის მხარდაჭერის ღონისძიება | 5,000 | 5,000 | 4,025 | 4,025 |
| ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა | 5,000 | 5,000 | 5,000 | 5,000 |
| შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის სუბსიდირება ( 5 პირისათვის | 10,950 | 10,950 | 10,950 | 10,950 |
| დამოუკიდებელი ცხოვრების დღის ცენტრის სუბსიდირება | 35,820 | 35,820 | 35,075 | 35,075 |
| წინა პერიოდის დავალიანება | 13,458 | 13,458 | 13,458 | 13,458 |
| **მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა-უზრუნველყოფა 06 02 09** | **219,800** | **219,800** | **103,269** | **103,269** |
| სოციალურად დაუცველი შშმ და ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57.001; სამი და მეტ შვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 30.001; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 1.001-ს სარემონტო მასალების შეძენა, საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის რეაბილიტაციისათვის . საშეშე მასალის მოსაკრებლის გადახდა და ტრანსპორტირება | 219,800 | 219,800 | 103,269 | 103,269 |
| **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება 06 02 10** | **250,256** | **250,256** | **224,762** | **224,762** |
| პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება შშმ პირებისათვის | 194,960 | 194,960 | 186,746 | 186,746 |
| მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირების გამცილებლით მომსახურება | 55,296 | 55,296 | 38,016 | 38,016 |
| **სულ პროგრამაზე მიმართული და გაწეული ფულადი სახსრები** | **17,699,084** | **17,520,352** | **15,497,228** | **15,373,001** |

## პროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება | სოციალური უზრუნველყოფა |
| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი | 06 02 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური |
| პროგრამის აღწერა და მიზანი (მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები) | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით მოქალაქეთა თანასწორობის უზრუნველყოფა. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი თანხვედრაში მოდის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებებთან და მიმართულია სოციალურად დაუცველი ოჯახების, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საბაზისო სოციალური გარანტიებით, მინიმალური სტანდარტებით და მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფისკენ. ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში, თუმცა რჩება სოციალური უზრუნველყოფის მომსახურეობის ნაწილი, რომლის დაფინანსება აუცილებელია განხორციელდეს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებიდან, ასევე მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებიდან და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, რაც ძირითადად უზრუნველყოფილია სოციალური დაცვის მიზნობრივი ქვეპროგრამებით. პროგრამა უზრუნველყოფს ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მოწყვლადი კატეგორიებისათვის (მკვეთრად გამოხატულ შშმ პირები და შშმ სტატუსის ბავშვები, ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები, სოციალურად დაუცველები, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), |

| | |
|---|---|
| **პროგრამის აღწერა და მიზანი (მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები)** | მარტოხელა მშობლები და მათი შვილები და სხვები) სხვადასხვა სახის სერვისების მიწოდებას და მატერიალური დახმარებების გაწევას, კერძოდ: ხორციელდება კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (წყლისა და კანალიზაციის, დასუფთავებისათვის მოსაკრებლის, სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა, გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება, თხევადი აირის ტალონით დახმარება), მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება, მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის შემთხვევაში სარემონტო სამუშაოების ანაზღაურების უზრუნველყოფა, მზრუნველობასმოკლებულ და უპოვარ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა (თავშესაფრით, სამედიცინო მომსახურებითა და კვებით უზრუნველყოფა), მოვლის საჭიროების მქონე პირთა ბინაზე მომსახურეობა (სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება), უფასო კვებით უზრუნველყოფა (ყოველდღიურად დღეში ერთჯერ ცხელი საკვებით დაკმაყოფილება), ბენეფიციარებთა, რომლებსაც არ გააჩნიათ საარსებო წყარო და საცხოვრებელი, დროებითი ღამის თავშესაფრით უზრუნველყოფა, ბენეფიციართა მინიმალური საყოფაცხოვრებო სტანდარტებით დაკმაყოფილება ( საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სარემონტო მასალების შეძენა). |

| | | | |
|---|---|---|---|
| **დაგეგმილი საბოლოო შედეგი** | გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესებულია საზოგადების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობები. შემცირებულია მოსახლეობის სიღარიბით, ხანდაზმულობით და შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული სოციალური რისკები. | **მიღწეული შედეგი** | ნაწილობრივ მიღწეული დაგეგმილი საბოლოო შედეგი იმ ბენეფიციარებისათვის, რომლებიც სარგებლობენ ქვეპროგრამებით |

| № | **დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი** | | **მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი** | | **განმარტება** |
|---|---|---|---|---|---|
| | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| სოციალური სერვისების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა | 35,600 | 39,600 | 39,569 | 0% | |
| სოციალური შეღავათების სერვისების რაოდენობა | 22 | 23 | 23 | 0% | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მატერიალური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა | 2,280 | 5,324 | 3,574 | 33% | |
| სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი | 85% | 85% | | 100% | |

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

<table>
<tr><td>პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა</td><td colspan="4">სოციალური უზრუნველყოფა</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის დასახელება</td><td colspan="4">კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი</td><td colspan="4">06 02 01</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ორგანიზაცია/სამსახური)</td><td colspan="4">ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია,  ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები</td><td colspan="4">ქვეპროგრამის ფარგლებში 2023 წლის  განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:  1. გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე - მომსახურეობა გაეწია 24 ბენეფიციარს. 2. ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალ დაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება - ღონისძიების ფარგლებში ყოველთვიურად 5 კგ თხევადი აირის ტალონი გადაეცა 120-მდე ვეტერანს, მათთან გათანაბრებულ პირს, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს და მარჩენალ დაკარგულებს. 3. დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა განხორციელდა 15414 პირზე. 4. წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა - განხორციელდა საშუალოდ - 9599 ბენეფიციარზე 5. მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების, ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების ყოველთვიურად სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა განხორციელდა  - საშუალოდ 493  ბენეფიციარზე ყოველთვიურად.</td></tr>
<tr><td rowspan="2">ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი</td><td colspan="2">გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შუალედური შედეგი</td><td colspan="2">შუალედური შედეგის ფაქტიური მაჩვენებელი</td></tr>
<tr><td colspan="2">მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით</td><td colspan="2">მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით</td></tr>
<tr><td colspan="3">დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td colspan="2">მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td rowspan="2">განმარტება</td></tr>
<tr><td>№</td><td>საბაზისო მაჩვენებელი</td><td>დაგეგმილი მაჩვენებელი</td><td>მიღწეული მაჩვენებელი</td><td>ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</td></tr>
</table>

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სოციალური სერვისების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა | 16050 | 19600 | 16051 | 18% | მიღწეული მაჩვენებელი ასახულია მომართვიანობიდან გამომდინარე |
| სერვისების რაოდენობა, რომელზეც ვრცელდება სოციალური შეღავათები | 5 | 5 | 5 | 0% | |
| საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია/დასაბუთება - თუ ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 30%-ზე მეტია | ნოემბერ-დეკემბრის გაზიფიცირების თანხა ჩარიცხული იქნება შესრულებული სამუშაოს წარმოდგენის შემდეგ, 2024 წელს | | | | |

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა | სოციალური უზრუნველყოფა |
| ქვეპროგრამის დასახელება | მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა |
| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი | 06 02 02 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ორგანიზაცია/სამსახური) | ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური |
| ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები | ქვეპროგრამის ფარგლებში სადღესასწაულო დღეებში (15 თებერვალი, 9 მაისი, 27 სექტემბერი და ახალი წელი) 87 ვეტერანს (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) გაეწია ფულადი მატერიალური დახმარება. 2. ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწია 76 - (0-100.000 ქულის მქონე) სოც. დაუცველ ოჯახს. 3. ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 53 ოჯახს. 4. ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება არ შესრულდა იმის გამო, რომ სუბსიდირების მიზნით ბენეფიციარებს არ მოუმართვთ. 5. სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების, უდედმამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა - საშუალოდ ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწია 2479 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3 შვილიან, 4 შვილიან, 5 და მეტ შვილიან ოჯახს, უდედმამო ბავშვებს, მარტოხელა მშობელს (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა); 30 წლის ასაკის ჩათვლით შშ მქონე მოვლის საჭიროების მქონე პირებს, სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის ბავშვს; სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველი ერთი წლიდან ორ წლამდე ასაკის ბავშვს. კომუნალური გადასახადების სუბსიდირება გაეწია 879 პირი. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შუალედური შედეგი | შუალედური შედეგის ფაქტიური მაჩვენებელი |
|---|---|---|
| | მოწყვლადი სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით | მოწყვლადი სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით |

| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|
| № | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვეტერანების რაოდენობა, რომელზეც სადღესასწაულო დღეებში გაიცემა მატერიალური დახმარება | 125 | 125 | 87 | 30% | დახმარება გაიცა ვეტერანთა ფაქტიური რაოდენობის მიხედვით |
| შვილის შეძენასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა (800 ლარი) | 120 | 150 | 76 | 49% | |
| გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველთა ოჯახის წევრის რაოდენობა, რომელზეც გაიცემა მატერიალური დახმარება | 110 | 110 | 53 | 52% | |
| ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება | 2 | 2 | 0 | 100% | სტუდენტებს დახმარების მიზნით არ მოუმართავთ |
| სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების, ბათუმში რეგისტრირებულ ძალადობის მსხვერპლ ბენეფიციართათვის, უდედმამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა, 18 წლამდე შშმ პირთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით | 3,462 | 3,161 | 2479 | 22% | |
| 0-30001-მდე ქ. ბათუმის სარეიტინგო ქულების მქონე ოჯახების კომუნალური გადასახადების სუბსიდირება (იანვარი-მარტი, ნოემბერ-დეკემბერი) (30 ლარი ყოველთვიურად) | 1,850 | 1,250 | 879 | 30% | 2023 წლის მეოთხე კვარტალში დაიწყო სოციალურად დაუცველი ოჯახების გადამოწმება, რის გამოც ოჯახების ნაწილს შეუჩერდათ სოციალური სტატუსი. აქედან გამომდინარე ვერ მოხერხდა აღნიშნული ღონისძიებით გათვალისინებ ული ასიგნების მაქსიმალური ათვისება |

| | |
|---|---|
| საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია/დასაბუთება - თუ ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 30%-ზე მეტია | |

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

<table>
<tr><td>პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა</td><td colspan="2">სოციალური უზრუნველყოფა</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის დასახელება</td><td colspan="2">მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი</td><td colspan="2">06 02 03</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ორგანიზაცია/სამსახური)</td><td colspan="2">ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები</td><td colspan="2">სოციალურად დაუცველი 0-დან 70000 ქულის მქონე პირების, მასწავლებლების, მოსწავლეების, სტუდენტების, შშმ პირების, პენსიონრების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების მუნიციპალურ ტრანსპორტზე მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობაზე მგზავრობის საფასურის სუბსიდირების ქვეპროგრამა. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, 2023 წლის მონაცემებით, საშუალოდ 39289 ბენეფიციარმა ისარგებლა მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 100%-იანი შეღავათით.</td></tr>
<tr><td rowspan="2">ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი</td><td>გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შუალედური შედეგი</td><td>შუალედური შედეგის ფაქტიური მაჩვენებელი</td></tr>
<tr><td>საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება</td><td>საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="3">დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td colspan="2">მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td rowspan="2">განმარტება</td></tr>
<tr><td>№</td><td>საბაზისო მაჩვენებელი</td><td>დაგეგმილი მაჩვენებელი</td><td>მიღწეული მაჩვენებელი</td><td>ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</td></tr>
<tr><td>ბენეფიციართა რაოდენობა, რომელიც სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 100 %-იანი შეღავათით (უფასო მგზავრობით)</td><td>35,600</td><td>39,700</td><td>39289</td><td>1.0%</td><td></td></tr>
<tr><td colspan="2">საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია/დასაბუთება - თუ ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 30%-ზე მეტია</td><td colspan="4"></td></tr>
</table>

## ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა | სოციალური უზრუნველყოფა |
| ქვეპროგრამის დასახელება | მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება |
| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი | 06 02 04 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ორგანიზაცია/სამსახური) | ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური |
| ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები | უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა ზრუნვა მუნიციპალიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. განსაკუთრებით იმ პირებისათვის, რომლებიც დარჩენილი არიან ყოველგვარი მოვლა-პატრონობის გარეშე. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი უკვე წლების განმავლობაში ახორციელებს უპოვარ და მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსებას, რომელიც ითვალისწინებს ამ კატეგორიის მოქალაქეების თავშესაფრით, შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, საყოფაცხოვრებო პირობებითა და კვებით უზრუნველყოფას.<br>გარდა ამისა, გათვალისწინებულია სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება სახლის პირობებში იმ ბენეფიციარებზე, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება. კერძოდ, მომსახურება ეწევა ქრონიკულად დაავადებულ, ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე ან/და საწოლს მიჯაჭვულ ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე ბენეფიციარებს, შშმ პირებს, ასაკით პენსიონერებს. ქვეპროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, მზრუნველობას მოკლებულ და ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება ღონისძიებების ფარგლებში მომსახურეობით ისარგებლა 234-მა ბენეფიციარმა. |

| | | |
|---|---|---|
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შუალედური შედეგი | შუალედური შედეგის ფაქტიური მაჩვენებელი |
| | მზრუნველობა-მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები | მზრუნველობა-მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები |

| დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | | | მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი | | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|
| № | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მოხუცებულთა თავშესაფარში სერვისის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა | 122 | 130 | 124 | 5% | |
| სერვისის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა | 100 | 110 | 110 | 0% | |
| საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია/დასაბუთება - თუ ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 30%-ზე მეტია | | | | | |

## ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

<table>
<tr><td colspan="2">პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა</td><td colspan="4">სოციალური უზრუნველყოფა</td></tr>
<tr><td colspan="2">ქვეპროგრამის დასახელება</td><td colspan="4">მუნიციპალური უფასო სასადილო</td></tr>
<tr><td colspan="2">ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი</td><td colspan="4">06 02 05</td></tr>
<tr><td colspan="2">ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ორგანიზაცია/სამსახური)</td><td colspan="4">ა(ა)იპ ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო</td></tr>
<tr><td colspan="2">ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები</td><td colspan="4">არსებული ქვეპროგრამა მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფას. აღნიშნული მომსახურების გაწევა ხორციელდება 6 მუნიციპალური სასადილოს საშუალებით. საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მომსახურება გაუწია 7650 ბენეფიციარს. მომსახურებით ისარგებლეს იმ მოქალაქეებმა, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ და მინიჭებული აქვთ 0-დან 65000 ჩათვლით სარეიტინგო ქულა. განხორციელდა ქვეპროგრამით გათვალისწინებული იმ მარტოხელა ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას. საახალწლოდ, სააგენტოს ყველა ბენეფიციარს დაურიგდა სხვადასხვა სასურსათო პროდუქტებისა და ტკბილეულისაგან შემდგარი საახალწლო ნობათი.<br>უფასო მუნიციპალური სასადილოების გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, განხორციელდა ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და N1, N2, N4 და N5 სასადილოებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.</td></tr>
<tr><td colspan="2" rowspan="2">ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი</td><td colspan="2">გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შუალედური შედეგი</td><td colspan="2">შუალედური შედეგის ფაქტიური მაჩვენებელი</td></tr>
<tr><td colspan="2">საჭიროების მქონე პირთათვის უზრუნველყოფილია უფასო კვების მომსახურება</td><td colspan="2">7650 ბენეფიციარზე ყოველთვიურად გაიცა სასურსათო კალათა</td></tr>
<tr><td colspan="3">დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td colspan="2">მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td rowspan="2">განმარტება</td></tr>
<tr><td>№</td><td>საბაზისო მაჩვენებელი</td><td>დაგეგმილი მაჩვენებელი</td><td>მიღწეული მაჩვენებელი</td><td>ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</td></tr>
<tr><td>სასადილოების რაოდენობა, სადაც ხელმისაწვდომია უფასო კვების სერვისი</td><td>6</td><td>6</td><td>6</td><td>0%</td><td></td></tr>
<tr><td>ყოველდღიურად უფასო კვების სერვისით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა</td><td>5379</td><td>7595</td><td>7595</td><td>0%</td><td></td></tr>
<tr><td colspan="2">საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია/დასაბუთება - თუ ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 30%-ზე მეტია</td><td colspan="4"></td></tr>
</table>

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

<table>
<tr><td>პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა</td><td colspan="5">სოციალური უზრუნველყოფა</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის დასახელება</td><td colspan="5">დროებითი ღამის თავშესაფარი</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი</td><td colspan="5">06 02 06</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ორგანიზაცია/სამსახური)</td><td colspan="5">ა(ა)იპ ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები</td><td colspan="5">ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა თავშესაფრის 50 ბენეფიციარის მომსახურება: ღამის გათევა, ორჯერადი კვებით (საუზმე, ვახშამი) და სუფთა მეორადი ტანსაცმლით უზრუნველყოფა. ყოველდღიურად მიმდინარეობდა რეგულაციებით გათვალისწინებული სამუშაოები: შენობის და ავეჯის დასუფთავება, რეცხვა, დეზინფექცია. დეზინსექცია და დერატიზაცია. ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იყვნენ ფარმაცევტული და სამედიცინო მოწყობილობებით. საანგარიშო პერიოდში ბენეფიციარებს გაეწიათ სამედიცინო მომსახურება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში. ურეხის დროებითი ღამის თავშესაფარში მიმდინარე სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის დასრულებამდე, თავშესაფრის ბენეფიციარები განთავსებულნი არიან ორ ლოკაციაზე: მამია ვარშანიძის ქ. N183- ში მდებარე (25 ბენეფიციარზე) და მიხეილ შარაშიძის ქ. N81- ში მდებარე შენობებში (25 ბენეფიციარზე), სადაც მიეწოდებათ პროგრამით გათვალისწინებული ყველა სერვისი. საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო რეაბილიტირებული თავშესაფრის შენობის ავეჯითა და სხვა ინვენტარით აღჭურვა, რომელიც არ განხორციელდა, ვინაიდან დროებითი ღამის თავშესაფრის შენობის რეაბილიტაცია არ დასრულებულა.</td></tr>
<tr><td rowspan="2">ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი</td><td colspan="2">გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შუალედური შედეგი</td><td colspan="3">შუალედური შედეგის ფაქტიური მაჩვენებელი</td></tr>
<tr><td colspan="2">დროებითი ღამის თავშესაფარი ფუნქციონირებს შეუფერხებლად</td><td colspan="3">დროებითი ღამის თავშესაფარი ფუნქციონირებს შეუფერხებლად</td></tr>
<tr><td colspan="3">დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td colspan="2">მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td rowspan="2">განმარტება</td></tr>
<tr><td>№</td><td>საბაზისო მაჩვენებელი</td><td>დაგეგმილი მაჩვენებელი</td><td>მიღწეული მაჩვენებელი</td><td>ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)</td></tr>
<tr><td>ბენეფიციარი</td><td>50</td><td>70</td><td>50</td><td>29%</td><td>დაგეგმილი მაჩვენებლით განსაზღვრული რაოდენობა გათვალისწინებული ა რეაბილიტირებულ შენობაში</td></tr>
<tr><td>საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია/დასაბუთება - თუ ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 30%-ზე მეტია</td><td colspan="5">საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო რეაბილიტირებული თავშესაფრის შენობის ავეჯითა და სხვა ინვენტარით აღჭურვა, რომელიც არ განხორციელდა, ვინაიდან დროებითი ღამის თავშესაფრის შენობის რეაბილიტაცია არ დასრულებულა.</td></tr>
</table>

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა | სოციალური უზრუნველყოფა |
| ქვეპროგრამის დასახელება | საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა |
| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი | 06 02 07 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ორგანიზაცია/სამსახური) | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური |
| ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები | საზოგადოებრივი ორგანიაზაციების მატერიალური მხარდაჭერა დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის დაფინანსება-„სოცილური უზრუნველყოფის" პროგრამის ,,საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა" ქვეპროგრამის ფარგლებში, იჯარის, საკანცელარიო და კომუნალური ხარჯების თანხა.<br>ა(ა)აიპ იალქანის მხარდაჭერის ღონისძიება- პროგრამის ფარგლებში კომუნალური, მიმდინარე აქტივობების და საოფისე ხარჯების თანხა.<br>ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილის„ ქალაქ ბათუმის ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა- 2023 წლის საოფისე, საკანცელარიო, კომუნალური ხარჯები.<br>ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა- 2023 წლის საოფისე, საკანცელარიო, კომუნალური ხარჯები.<br>საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა, კერძოდ: სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები (ექსკურსია,შემოქმედებითი საღამოები, ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა და სხვა) გაცვლითი ვიზიტები ბენეფიციარების, თანამშრომლებისა და მოხალისეებისათვის.<br>მოწყვლადი ჯგუფების მხარდაწერა მათ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით. |

| | | |
|---|---|---|
| **ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები** | პირველი დახმარების სწავლების ტრენინგებისა და სიმულაციური ვარჯიშების ჩატარება სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებში.<br>მართვადი დაავადებისაგან იმუნიზაციის გზით ქვეყნის მოსახლეობის ეფექტური დაცვის მიზნით მოხალისეთა გუნდის ჩამოყალიბება და გადამზადება სხვადასხვა თემატური ტრენინგების ჩატარების გზით საინფომაციო-საგანმანათლებლო მასალის შემუშავება და გავრცელება თემის წევრბს შორის, ასევე სესიების ჩატარება.<br>სისხლის ნებაყოფლობითი უსაფრთხო, უანგარო დონაციის პროპაგანდისა და ქვეყანასი უანგარო სისხლის დონაციის წილის გაზრდის მიზნით მოხალისეთა გუნდის ჩამოყალიბება და გადამზადება.<br>საქმიანობათა დღის ცენტრის მიმდინარე ხარჯები.<br>სატრანსპორტო ხარჯები.<br>ბათუმის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის მხარდაჭერის ღონისძიება- 2023 წლის საოფისე, საკანცელარიო, კომუნალური ხარჯები.<br>ხელი ხელს- ცენტრის ბენეფიციარებს 24 საათიან რეჟიმში მიეწოდებათ სხვადასხვა სერვისი, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო აქტივობებს, ფსიქოლოგისმომსახურებას, კვებას, პირადი ჰიგიენის დაცვას და სხვა. | |

| | | |
|---|---|---|
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | **გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | **შუალედური შედეგის ფაქტიური მაჩვენებელი** |
| | უზრუნველყოფილია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა , უსინათლოთა და ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა.  შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის სუბსიდირება | უზრუნველყოფილია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა , უსინათლოთა და ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა.  შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის სუბსიდირება |

| **დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი** | | | **მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი** | | **განმარტება** |
|---|---|---|---|---|---|
| № | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაოდენობა, რომელთა ფინანსური დახმარება განხორციელდა | 5 | 8 | 8 | 0% | |
| საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია/დასაბუთება - თუ ასიგნებების დაგეგმილ და  ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა  30%-ზე მეტია | | | | | |

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა** | **სოციალური უზრუნველყოფა** | | | | |
| **ქვეპროგრამის დასახელება** | **მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა** | | | | |
| **ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი** | **06 02 09** | | | | |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ორგანიზაცია/სამსახური)** | **ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური** | | | | |
| **ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები** | აღნიშნული ქვეპროგრამის მიზანია მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის, უპირატესად სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, სოციალური პირობების გაუმჯობესება და მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდა ბენეფიციართა ოჯახების მოკვლევა და საჭიროებების იდენტიფიკაცია. სამშენებლო მასალების შესაძენად და სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად გაფორმდა ხელშეკრულებები შემსყიდველ ორგანიზაციებთან და გაიცა 52 სამშენებლო ვაუჩერი. | | | | |
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | **გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | | **შუალედური შედეგის ფაქტიური მაჩვენებელი** | | |
| | მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები და შექმნილია მინიმალური საცხოვრებელი პირობები | | მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის გაუმჯობესდა სოციალური პირობები და შექმნა მინიმალური საცხოვრებელი პირობები | | |
| **დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი** | | | **მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი** | | **განმარტება** |
| № | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების მიმღები და საცხოვრებელი ფართის სარეაბილიტაციო სოციალურად დაუცველი ოჯახების საშუალო რაოდენობა | 100 | 350 | 52 | 85% | |
| საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია/დასაბუთება - თუ ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 30%-ზე მეტია | საშეშე მერქნის შესყიდვა ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ სატყეო სააგენტომ ვერ მოახერხა სამერქნე მასალის მიწოდება. | | | | |

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

| | |
|---|---|
| **პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა** | **სოციალური უზრუნველყოფა** |
| **ქვეპროგრამის დასახელება** | **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება** |
| **ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი** | **06 02 10** |
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ორგანიზაცია/სამსახური)** | **ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური** |
| **ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები** | ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 2 ღონისძიება: 1. პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისათვის - ისარგებლა 11 პირმა. 2. მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირების და ეტლით მოსარგებლე შშმ პირების ასისტენტით მომსახურება - ისარგებლა 36 პირმა. |

| | | |
|---|---|---|
| **ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | **გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შუალედური შედეგი** | **შუალედური შედეგის ფაქტიური მაჩვენებელი** |
| | უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქალაქში გადაადგილება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია | მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირები უზრუნველყოფილი არიან გამცილებლის სერვისით |

| **დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი** | | | **მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი** | | **განმარტება** |
|---|---|---|---|---|---|
| № | საბაზისო მაჩვენებელი | დაგეგმილი მაჩვენებელი | მიღწეული მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | |
| ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა | 102 | 68 | 47 | 31% | |

| | |
|---|---|
| საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია/დასაბუთება - თუ ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 30%-ზე მეტია | |